უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 26

20 19 წ. „26“ 07

ქ. თბილისი

შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 2^1 პუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 3^1 პუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 1^1 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 25^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა

1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტს (ს./კ 404535810) 6 წლით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 600-ით.
2. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდოს 1 წლის ვადით.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 26 ივლისიდან.
4. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 26 ივლისის №11 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ნინო ხოლუაშვილი

დანართი

#	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	ინფორმაცია აკრედიტაციის შესახებ
1	დიპლომირებული მედიკოსის (ერთსაფეხურიანი)	ქართული	დიპლომირებული მედიკოსი (090101)	360	----------
2	დიპლომირებული მედიკოსის (ერთსაფეხურიანი)	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი (090101)	360	----------